

ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) – 010352

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) წარმოადგენს აგრარული მიმართულების პროფესიულ კვალიფიკაციას. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების მომსახურეობის სისტემასთან. პროფესია გულისხმობს მეცხოველეობის და მეფრინველეობის სფეროში საქმიანობას.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეეძლება დასაქმდეს მეცხოველეობის ფერმებში, მეფრინველეობის საწარმოებში, სანაშენე მეურნეობებში და სამომშენებლოებში.

III დამატებითი მოთხოვნები

- პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა პირველი საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;

V. ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი.

ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწე

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	აქვს ზოოტექნიკის საფუძვლების ზოგადი ცოდნა; გაცნობიერებული აქვს საწარმოო პროცესში თავისი კვალიფიკაციის შესატყვისი-მარტივი ამოცანების შესრულების, დამხმარე და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, შრომის უსაფრთხოების საკითხების ცოდნის მნიშვნელობა. იცის ცხოველების და ფრინველის მოვლა, ინვენტარის და შენობის დასუფთავება, ცხოველის მოციონზე გაყვანა და დაფიქსირება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.	შეუძლია ცხოველის და ფრინველის სადგომების დასუფთავება, დანადგარების, ინვენტარის და იარაღების მოვლა და გამოყენება, ცხოველების სამოვარზე გადარეკვა და დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდში მოვება, საკვების სადგომში მიტანა და საკვებურში დარიგება, საწყურვებლის დასუფთავება და სუფთა წყლით შევსება, ანარჩენების და ნაკვლის ფერმიდან და საფრინველედან გატანა.
დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია ცხოველის და ფრინველის სადგომის დასუფთავების ხარისხის დადგენა, მარტივი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზის დადგენა, სამოვარზე და საფრინველეში ავადმყოფი ცხოველის და ფრინველის გარეგნული ნიშნებით გამოვლენა,
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.	საწარმოში თავისი მოვალეობის შესრულებისას-სადგომების დასუფთავებაზე, ინვენტარის მოვლა-შენახვაზე, ცხოველების მოვებაზე, საკვების დარიგებაზე, ანარჩენების გატანა-გაუვნებლობაზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი განმარტებების მიცემა.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა	შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობით და მის მიერ მითითებული ლიტერატურის მეშვეობით შეისწავლოს ცხოველების და ფრინველების მოვლა-შენახვისა და კვებასთან დაკავშირებული საკითხები, გაიღრმავოს ცოდნა ანარჩენების უტილიზაციის საკითხებზე.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	გაცნობიერებული აქვს ცხოველებთან და ფრინველებთან, მარტივ დანადგარებთან/იარაღებთან მუშაობისას შრომის უსაფრთხოების საკითხების ცოდნის მნიშვნელობა. იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ

ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის ცხოველის და ფრინველის ჰიგიენური მოვლის წესები; პროდუქტიულობის სტანდარტები; ახდენს ფერმაში და საფრინველეში საჭირო ინვენტარის მოვლას. ასევე ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მარტივ ოპერაციებს. იცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შესასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მეთოდების, ხელსაწყოების და საშუალებების გამოყენებით.	შეუძლია სხვადასხვა სახეობის ცხოველებთან და ფრინველებთან მუშაობა, საჭირო ინვენტარისა და ხარჯვადი მასალების გამოყენება; დანადგარების და ინვენტარის დასუფთავება–დეზინფექცია; შეუძლია ხელით წველა, რძის შეგროვება და სარძევეში გადატანა, ცხოველის და ფრინველის აწონვა, დანომვრა, კვერცხის შეგროვება, გატეხილი, გაზარული და ჭუჭყიანის გამოვლენა, გარეცხვა და დეზინფექცია, აგრეთვე პროდუქციის საწარმოებლად დამახასიათებელი სხვადასხვა პროცესებისა და განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია ცხოველებთან და ფრინველთან მუშაობის კონკრეტულ სიტუაციაში და ხარჯვადი მასალების გამოყენებისას შესატყვისი ანალიზის გაკეთება, ცხოველის და ფრინველის ქცევის რეაქციებით ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეფასება, სადეზინფექციო საშუალებების მომზადება–გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობის გააზრება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინ-ფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლო-გიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძ-ლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირე-ბულ საკითხებზე.	შეუძლია დამქირავებელთან/კოლეგებთან ფუნქციების განაწილების თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, პრობლემების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია, შეუძლია რძის მიღებაზე, წონამატზე, იდენტიფიკაციაზე და სხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის, ინსტრუქციების სტანდარტების აღქმა–გადამოცემა და აღრიცხვის წარმოება; მოთხოვნის შემთხვევაში შეუძლია სამუშაო გეგმის და ანგარიშის შედგენა;
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით და შემდგომ დამოუკიდებლად შეისწავლოს ცხოველების და ფრინველების დანადგარების და ინვენტარის დასუფთავება–დეზინფექცია; ხელით წველა, რძის შეგროვება და სარძევეში გადატანა, ცხოველის და ფრინველის აწონვა, დანომვრა, კვერცხის შეგროვება, ხარვეზიანი კვერცხის გამოვლენა.
ღირებულებები	გათავისუფლებული აქვს პროფესიული საქმიანო-ბისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	კომპეტენციის საზღვრებში იცავს პროფესიულ წესებს და პროცედურებს, გაცნობიერებული აქვს შრომის უსაფრთხოების წესები და იცავს მათ. იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად.

ზოოტექნიკოსის (მეცხენობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და ფრინველის ზრდის ბიოლოგიური თავისებურებები და კვების ელემენტები; სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის მოზარდის და ზრდასრული ცხოველების და ფრინველის კვების ნორმები და ულუფების შედგენის პრინციპები. სხვადასხვა სახეობის, ჯიშის, ასაკის და ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცხოველის საკვების შეფასება, კვების წინა შემზადება და კვება. ფლობს სხვადასხვა ასაკის მოზარდის გამოზრდის მეთოდებს. იცის მათი გამოზრდისა და კვებისათვის საჭირო ინვენტარის და ტექნიკის მოვლა და გამოყენება.</p>
<p>ცოდნისპრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულ-ლებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები.</p>	<p>შეუძლია სხვადასხვა სახეობის, ასაკის და ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცხოველებისა და ფრინველისათვის კვების ულუფების შერჩევა და კვების რეჟიმის დაცვა. საკვების საშუალებების შეფასება და კვებისწინა შემზადება. ფურის/ნერბის/ნეზვის/დედალი თხის,კვერცხმდებლის მოვლა და მოზარდის გამოზრდის უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენება, სარძეო,მეხორცული და მეკვერცხული პროდუქტიულობის და ზრდის კონტროლი, აგრეთვე სათანადო აღრიცხვის წარმოება. ხელმძღვანელთან ერთად შეუძლია ყოველდღიური სამუშაო გრაფიკის შედგენაზე გადაწყვეტილების მიღება.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	აანალიზებს საკვების კვებისწინა შემზადებისას, ცხოველთა და ფრინველთა შენახვა-კვებისას, წველისას, კვერცხის შეგროვებისას და ფერმაში განხორციელებულ სხვა საქმიანობისას წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და იღებს სწორ გადაწყვეტილებას;
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ცხოველთა და ფრინველთა მოვლა-შენახვისა და კვების საკითხებზე მიღებული ინსტრუქციებისა და მოქმედი დებულებების შინაარსის გააზრება; შეუძლია მოზარდის გამოზრდისა და კვების სპეციალურ სახელმძღვანელოებში, კრებულებში ჟურნალებში ან ინტერნეტში ახალი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; შეუძლია მიმდინარე და დასასრულებელი დავალებების შესახებ მოკლე შენიშვნების ჩაწერა, ჯგუფის კოორდინირებისა და ხელმძღვანელობისათვის საჭირო მასალის ნუსხის შედგენა;
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია ზოოტექნიკის სფეროში რძის, ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოების ტექნოლოგიებში სასწავლო და საცნობარო ლიტერატურის მოძიება, ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმისათვის სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	იცავს ცხოველთა და ფრინველთა გამოზრდისა და კვების ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებს. კონფიდენციალურ ინფორმაციასთან აქვს შეგნებული დამოკიდებულება.

ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობილი ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	აქვს შესაბამისი ცოდნა ზოოტექნიკაში რათა შეადგინოს სამუშაოების პროგრამა; აქვს ცოდნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და ფრინველის ჯიშებზე, მათ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებაზე. საფუძვლიანად ფლობს ზოგადი და კერძო ზოოტექნიკის საფუძვლებს.
-----------------------	---	---

		იცის მეცხოველეობის და მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარის და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების წესები და მათი ექსპლოატაციის უსაფრთხოება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია შეადგინოს ცხოველების და ფრინველის გამოზრდის პროგრამა. სხვადასხვა სახეობის და ჯიშის მოზარდისთვის განვითარების დონიდან გამომდინარე პირველი დაგრილების ასაკის დადგენა და ხურაობის გამოვლენა. შეუძლია ფურის/ნერბის/ დედალი თხის მანქანური წველა, საწველი აპარატის მოვლა–რეგულირება და რძის პირველადი დამუშავება. ცხვრის პარსვა და მატყლის აწონვა.კვერცხის პირველადი დამუშავება. აუცილებლობის შემთხვევაში ფერმის პირობებში ცხოველების და ფრინველის იძულებით დაკვლა. სამოვრის მოსავლიანობის დადგენა და ელექტრო-მწყემსით ცხოველთა ნაკვეთმორიგეობითი ძოვებისათვის სამოვრის დაყოფა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი	შეუძლია ცხოველთა და ფრინველთა შეფასების მეთოდებზე ახალი ინფორმაციის მიღება და მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობების აღმოჩენა, მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და გამოკვლეული ინფორმაციის ხელმძღვანელისათვის მიწოდება
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვლად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ცხოველის და ფრინველის მოზარდის გამოზრდის მეთოდების შერჩევა და მათი გამოზრდა და ზოოტექნიკური პარამეტრების ექსპერტიზა. ცხოველების მოვლა–შენახვისათვის განკუთვნილი ინვენტარის და ტექნიკური მოწყობილობების მოვლა და შენახვა. შეუძლია უცხო ენაზე საქმიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება, ასევე სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა. შეუძლია საკუთარ პროფესიულ სემინტში, თავისზე დაბალი კვალიფიკაციის პერსონალისათვის მართებული მითითებების და პროფესიული რჩევის მიცემა. როგორც შემსრულებელს, შეუძლია დამკვეთთან აწარმოოს კვალიფიკაციის შესაბამისი კომუნიკაცია, მათ შორის ერთ–ერთ უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვლად ვითარებაში	შეუძლია მეცხოველეობის და მრფრინველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიასთან და ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის მახასიათებლების განსაზღვრა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული	მეცხოველეობის და მეფრინველეობის პროდუქტები წარმოების

	საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვლად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პირობებში შეუძლია გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის ატანა. ფერმაში და საფრინველეში შექმნილ ექსტრემალურ პირობებში გააჩნია სწრაფი რეაგირების უნარი. ფლობს სამუშაო პროცესის უსაფრთხოების წესებს, არის პუნქტუალური და მოწესრიგებული.
--	--	---

ზოოტექნიკოსის (მეცხენობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	აქვს სხვადასხვა სახეობის და პროდუქტიული მიმართულების ცხოველთა და ფრინველთა ჯიშების სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშანთვისებების, სტანდარტების, მოშენების სპეციფიკის და ბონიტირების საფუძვლიანი ცოდნა, დაუფლებულია ჯიშების და ნახირის/ფარის/კოლტის სრულყოფის და გაუმჯობესების სელექციურ მეთოდებს, სხვადასხვა ჯიშების ბონიტირების, ექსპერტიზის და გამოფენების მოწყობის ინსტრუქციებს და დებულებებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია სანაშენე ობიექტებზე სანაშენე მუშაობის მდგომარეობის შესწავლა, გაანალიზება და სასელექციო პროგრამის შემუშავება. უფლებამოსილია მოახდინოს სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ცხოველების და ფრინველის ექსპერტიზა. შეუძლია ცხოველთა და ფრინვეთა იდენტიფიკაცია და გამოფენისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. შეუძლია კვერცხის დახარისხება, მარკირება და ფირფიტებში ჩალაგება, ცოცხალი ცხოველის და ფრინველის ნაკვებობის და ნაკლავის კატეგორიის დადგენა, სუფთა მატყლის გამოსავლიანობის დადგენა, დახარისხება, ბარდანებში ჩადება და მარკირება. ცხოველთა ტრანსპორტირება და სატრანსპორტო დოკუმენტაციის მომზადება. საზაფხულო ბანაკების მოწყობა–ორგანიზაცია. სანაშენე ობიექტებზე მოშენების სახარჯთაღრიცხვო–ფინანსური გაანგარიშების ჩატარება.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.	შეუძლია დამსაქმებლის დაკვეთის გააზრება და ცხოველთა და ფრინველთა მოშენების სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა. შეუძლია სანაშენო–სასელექციო მასალების გადამუშავების პროცესში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრობლემის მოსაგვარებლად ალტერნატიული გზების განხილვა. აქვს უნარი საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სამუშაო უბნებზე ადაპტირების.

კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეების და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდრვრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>	<p>შეუძლია ზოოტექნიაში სანაშენე მუშაობის ანგარიშის წარდგენა საქართველოს შესაბამის უწყებებში და საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტებების მიცემა. შეუძლია სხადასხვა სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დავალების შესრულების მეთოდის შესახებ საკუთარი ხედვის შეთავაზება, პოზიციის ლაკონურად დასაბუთება, საჭიროების შემთხვევაში მოძიებულ მეთოდურ ანალოგებსა და პრაქტიკულ პრეცედენტებზე დაყრდნობით. შესრულებული სამუშაოს აღწერა-ანგარიშის წარმოდგენა წერილობით, მათ შორის უცხო ენაზე. შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს კონსულტირება თავისზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალს.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მეცხოველეობაში და მეფრინველეობაში სანაშენე საქმის უკეთ განხორციელების მიზნით სელექციის ახალი მეთოდების, ინსტრუქციების, ექსპერტიზის დებულებების და სხვა საჭირო მასალის დამოუკიდებლად მოძიება და გააზრება. შეუძლია კარიერული წინსვლის დაგეგმვა და ამისათვის აუცილებელი სწავლის საჭიროების დამოუკიდებლად განსაზღვრა.</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავის და სხვის დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>სანაშენე მუშაობის წარმართვის და ცხოველთა და ფრინველთა ექსპერტიზის სამუშაოების შესრულების კრიტიკულ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში იცავს საქმიანობისათვის დაწესებულ ეთიკურ ნორმებს, უზიარებს მათ კოლეგებს.</p>